ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 319

დამატების № 57

კვირა, 28 ივნისი 1915 წ.

სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი

ძველებური ხიდი იმერხევის წყალზე.

დოლის ყანის ტაძრის ნანგრევები.



მზის საათი დოლის ყანის ტაძრის კედელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უხვი ქველმოქმედი
ბ-ნი კიპრიზოვი,
რომელმაც განათლების საზოგადოების ქალთა სკოლას 40000 მანეთად ღირებული მამული შესწირა.

პრაპ. ივანე თეიმურაზის ძე ამილახვარი
(მოკლულია).

ა ბ

აქ განთიადი შენს ღიმილსა ჰგავს
და ჩემსა ნაღველს შემოღამება,
აქ სხივი მზისა ვარდს ისე ჰქარგავს
ვარდიც მზეს ისე შეეხამება—
ვით კბილთა ელვა—შენს ლალის ბაგეს
და ცრემლი—ჩემსა მოქანცულ თვალებს
შენზე ოცნებით გამოწვეული.

აქ ცის ქარგაზე ამოხვეული
მთვარის სხივების მუქი წარწერა,
ოცნება არის დაუშრეტელი
ვით ღვთაებრივი ეგ შენი მზერა
პირველ შეხვედრის ვარდნარევ წუთში
და სიგულცივით განშორების ჟამს—
ჟამს ჩემის ტანჯვის დასაწყისისას.

აქ შუაღამის ლურჯ სარეცელზე
ისე დაფრინავს ფოთოლთ ზღაპარი—
როგორც შენს მხრებზე, როგორც შენს ყელზე
თმა—წაბლისფერად ჩამონაყარი,
ფერ გამსჭვირვალე მარაოს სუნთქვით
ოდნავ შემკრთალი, შეღელვებული—
ანგელოზის დარ ფიქრების დროსა.

აქ ვარსკვლავების მუქ ჟრიამულზე,
საგარიჟრაჟო ლოცვების თქმისას,
ხელთ ჯვარედინად გადვიჭდობ გულზე,
ავანთებ კანდელს წრფელ გულის თქმისას.
ვუბრძანებ ჩემს ფიქრს და სახე შენი
აქანდაკდება ჩემს თვალწინ ნაზად...
სახე მდუმარე, არაფრის მთქმელი.

და მის წინაშე—უხმოდ, უჩუმრად
ცრემლად დავადნობ ლოცვას სულისას,
ჩვენს წარსულ წუთებს მოუხმობ სტუმრად,
წუთებს უმანკო სიყვარულისას,—
და შენს განუყრელ წმინდა ხატებას
ამ ნაზ წუთებით ავამეტყველებ—
ავამეტყველებ თვით მოგონებას!..
. . . . . .

შენ?—იყავ უღვთო! რა მენაღვლება!..
დამიჭერ გული სიკვდილის ეკლით,—
მაინც სიცოცხლე მე შემეძლება
შენის სახების ცივ ანარეკლით!—
და თუ წამართმევ შენ სინამდვილეს,
მე შევიყვარებ ჩემსა ოცნებას,
მწუხარეს მაგრამ შენსავით წმინდას'..

ს. ფაშალიშვილი.

თელავი.

დამჭკნარი ვარდი

მახსოვს, დილის ჟამს, ზეფირის ფრთებით,
ჩამომიქროლა გიჟმაჟმა ტრფობამ
და გამახვია ტკბილი ოცნებით
უცხო ბურუსში იდუმალ გრძნობამ.
თვალი ჩამავლო, არ მომაშორა,
შემომთავაზა ფურჩქვნილი ვარდი
და წამის შვებით გულს განმაშორა
სევდა-ვაება, კვნესა და დარდი.

ამ დროს ნიავი, ცელქი ნიავი,
ალერსით თავზე დაგვფარფატებდა
და აღმა ფრენით, აღფრთოვანებით,
სიამეს გული ვედარ იტევდა.
დრომ გაიარა. ავსულთა ხმაზე
გაჰქრა სიამე ტრფობა, ნავარდი;
და ხელში შემრჩა გამხმარ ღეროზე
დამჭკნარი ვარდი, დამჭკნარი ვარდი...

დარია ახვლედიანი.

ცოლის სიყვარული

I

პეტრე გურიანი ახალი ჯვარდაწერილი იყო. დიდხანს ცოლის შერთვას ვერა ბედავდა: ბევრი რამ უშლიდა ხელსა. ჯერ ერთი, ცოტა ჯამაგირი ჰქონდა. უფროსი კარგის თვალით არ უცქეროდა და არ აწინაურებდა. მაგრამ საბედნიეროდ ის უფროსი სხვაგან გადაიყვანეს და ახალმა კი კარგის თვალით შეხედა. პეტრემ ახალი თანამდებობა მიიღო, ჯამაგირიც თითქმის რვა თუმან ნახევარი გაუხდა. ეს კი ისეთი ჯამაგირია, რომელიც ცოტაოდენად წელში ჰმართავს ისეთ უპრეტენზიო მოხელეებს, რანაირიც პეტრე გურიანია. მეორე დაბრკოლების ძლევა უფრო ძნელი გაჰხდა. ცოლის შესართავად აუცილებლად საჭიროა ის ქალი, რომელიც შენს გულს ცხოვრების მეუღლედ დაუსახავს, მოგეწონოს. ასეთი სურვილი, თქვენ წარმოიდგინეთ, პეტრე გურიანსაცა ჰქონდა. პეტრეც ეძებდა საცოლეს, ეძებდა ჩუმად, ქურდულად. ათვალიერებდა ქალებს ნაცნობებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ოჯახიდან გაწვეული ძმანი ბარბაქაძენი

1) ეფრეიტორი ალექსანდრე ბარბაქაძე, 2) ზაურიად პრაპორშჩიკი ბიჭიკო ბარბაქაძე (მოკლულია), 3) უნტერ-აფიცერი პლატონ ბარბაქაძე (ტყვეთაა წაყვანილი), 4) ახლად გაწვეული ჯარში კოწია ბარბაქაძე.

ში, თეატრში ყოფნის დროს, ქუჩაშიც კი. თვალში ვერც ერთი ვერ მოუვიდა. ან ძალიან ლამაზი იყო, ან სილამაზე აკლდა. ან ძალიან დარბაისელი იყო, ან ფუქსავატი. ის კი მშვიდსა, წყნარსა და ლამაზ საცოლეს ეძებდა, ქალს, რომელიც მას მყუდრო ცხოვრებას მიანიჭებდა და ლამაზ, თმა ხუჭუჭა გოგო-ბიჭებს გაუჩენდა.

ბევრს ეძებდა, მაგრამ ცოლი კი უცაბედად შეირთო, ისე უცაბედად, რომ დიდხანს გონსაც ვერ მოვიდა. ამხანაგს წვეულება ჰქონდა. სტუმართა შორის იყო ერთი ახალგაზდა ქალი და მისი დეიდა, რომელიც, როგორც მერე მწარე სინამდვილემ დაუმტკიცა პეტრეს, დედობასა სწევდა; ჯერ ზრდიდა თამრიკოს და ეხლა კი მისთვის საქმროს ეძებდა. თამრიკოს დეიდას პეტრე თვალში მოუვიდა და ნიშანში ამოიღო. უჩემოდაც მიჰხვდება მკითხველი, რომ ამისთანა მონადირეს პეტრე შორს ვერ წაუვიდოდა.

თამრიკო და პეტრეც დაქორწილდნენ.

განუსაზღვრელ ბედნიერების მორევში სცურავდა პეტრე. ახალგაზდა ცოლი უყვარდა ისე, როგორც თვრამეტი წლის ჭაბუკსაც არ შეუყვარდებოდა. რა განსაკუთრებულის მოწიწებით იღებდა პირველ ჯამაგირს ჯვრის წერის შემდეგ! მივა, დინჯად უბიდან ამოიღებს წითელ-წითელ თუმნიანებს და ცოლს მისცემს. პეტრეს გადაწყვეტილი ჰქონდა, ჯამაგირი სულ მთლად ცოლისთვის მიეცა. ის იმ ზოგიერთ ქმარს არა ჰგავს, ცოლს რომ თითო-ოროლა მანეთს აძლევს სახარჯოდ და თითონ კი თუმნობით აგებს კლუბში. თამრიკოს პირველად შერცხვება, გაწითლდება: მას ხომ „უცხო“ კაცისაგან ჯერ ფული არ მიუღია! მაგრამ მაინც გამოართმევს და ისეთის ნაზი, მოსიყვარულე გულით გადაჰხედავს ქმარს, რომ ეს ველარ მოითმენს და...

ფიქრობს პეტრე და კი არ მიდის, მიჰფრინავს სახლისკენ. თვალწინ უდგას კეკლუცი, დარცხვენილი, ნაზად მოღიმარი სახე ცოლისა და მირბის. მართალია გზა და გზა ვიღაც სქელ-სქელ გენერალს დაეჯახა და კინაღამ გვერდი არ შეუნგრია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას მაშინ, როდესაც სახლში საყვარელი ცოლი გიცდის! პეტრე შურდულივით შევარდა სახლში, საჩქაროდ პალტო გაიძრო და ოთახში შევიდა. თამრიკო არც საწოლ ოთახში იყო არც სასტუმროში. გავიდა სასადილო ოთახში—სამზვარეულოდან რაღაც ყვირილი მოესმა. შეჩერდა. გაინაბა.

— შე წუწკო, შეწა! შე არამზადავ, შენა! ეს რა არის? განა ეს გარეცხილია! ერთი ამ პერანგს დაჰხედე, ერთი ამ ზეწარს უყურე! ეს რაღაა, ეს რაღაა? ორი მანეთის მეტს არ მოგცემ, შუაზე რომ გასკდე! მეხი კი დაგაყარე მაგ თავში, კარგი რამა შენა ხარ!

ჰა! ვინ არის? ვითომ თამრიკოა? ეს რა ხმაა? როგორა სჭექავს! თითქოს თამრიკოს ხმასა ჰგავს. ვითომ?

ამ დროს კარები გაიდო და ოთახში გაწითლებული, თვალებ-გავარვარებული თამრიკო შემოვიდა. ქმარი რომ დაინახა, ცოტა შეკრთა, მაგრამ მალე სახის კეკლუცი გამომეტყველება მიიღო და მორცხვად თავი ჩაღუნა.

— რადა ჯავრობ, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი! განა ღირს მაგ ბრიყვ მოსარეცხესთან ლაპარაკი! დამშვიდდი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, გულს ნუ იშფოთებ, და მე ერთ რამეს გახარებ.

თამრიკოს თვალებმა ეშმაკურად გაუთამაშა. პეტრემ გაიხსნა უბის ღილი და რვა წითელი თუმნიანი ამოიღო.

— აი, გენაცვალე, განგებ სულ ახალი თუმნიანები ავარჩიე. გამომართვი. რაც გინდა, იყიდე,—სთქვა პეტრემ და ცოტა არ იყოს მედიდური კმაყოფილებით გადახედა ცოლსა.

— მართლა, ჩემო კარგო? ყველაფერი შეიძლება ვიყიდო? რა კარგი რამა ხარ, რა კარგი რამა ხარ! შლიაპაც შეიძლება ვიყიდო? დამიძველდა და ეხლა ამისთა შლიაპებს აღარც ატარებენ.

— იყიდე, გენაცვალე, იყიდე!

— კარსეტიც ვიყიდო? ფეხსაცმელებიცა?—ეუბნებოდა თამრიკო და ქმარს ყელს ეხვეოდა.

— იყიდე, გენაცვალე, ყველაფერი იყიდე, ფეხსაცმელებიც იყიდე, კარსეტიც!—ეუბნებოდა ახალგაზდა ცოლს ეშხით დამთვრალი პეტრე და ჰკოცნიდა, ჰკოცნიდა ხან შუბლში, ხან თვალებში, ხან ტუჩებში.

— მაშ ჩქარა სადილი ვჭამოთ, ჩქარა, თორემ დამაგვიანდება! —ველარ ისვენებდა თამრიკო.

საჩქაროდ ისადილეს. პეტრეს ჯერ უკანასკნელი ლუკმა არ გადაეყლაპა, თამრიკო რომ საჩქაროდ წამოიჭრა და წასასვლელად მოემზადა.

— თამრიკო!—შეაჩერა პეტრემ ცოლი კარებში,—უკაცრავად კი ვარ, მაგრამ, იცი, პერანგებზე, ჩემ პერანგებზე... ღილები აკლია. რომ იყიდო... დავთვალე კიდეც... სწორედ ექვსი ღილი აკლია... რომ იყიდო...

— ჰო, გენაცვალე, ჰო, ჩემო თვალის ჩინო, ჰო, ჩემო კარგო! —შესძახა მხიარულად ცოლმა და ტანის ნაზი, კეკლუცი რხევით გასწია... მაღაზიებისკენ.

კარგა შებინდებული იყო, თამრიკო რომ სახლში დაბრუნდა. მაშინათვე ქმართან მიიჭრა და სხაპა-სხუპით მიახალა.

— ერთი ნახე, რა კარგი რამეები ვიყიდე, ერთი ნახე! აი რა მშვენიერი ბაშმაკებია! აი კარსეტიცა! აი „პროშივკები“, „ვოშივკები“! ჩულქები, ჩულქები! გაშალა შეხვეული ამანათი, სამი წყვილი ჩულქი ამოიღო, ხან ერთი დაიზომა ფეხზე, ხან მეორე.

რაღა უნდოდა პეტრეს? ბედნიერი იყო.

ცოტა ხნის შემდეგ მოკრძალებით შეეკითხა.

— თამრიკო, ღილები?

— ღილები? უი დამიდგეს თვალები! შენ კი მოგიკვდეს თამრიკო! აღარ გაუთენდეს ხვალინდელი დღე! სულ არ დამავიწყდა! რომ აღარ იყოს ცოცხალი შენი თამრიკო, განა არ გირჩევნიან!

შეწუხდა პეტრე, გული აუჩუყდა. ნეტავი ღმერთი გასწყრომოდა და სულ არ ეხსენებინა ის დაწყევლილი ღილები! ნეტავი სულ ერთავად ულილოდ ეტარებინა პერანგები და საწყალი თამრიკო კი ასე შეწუხებული არ დაენახა. რა დიდი სიყვარული სჩანს ამ წვრილმანებშიაც კი! საწყალი თამრიკო! ღირსი არ არის, შენი უბედური პეტრე! რა არის ღილი? უბრალო, სრულიად უმნიშვნელო რამ —და

საწყალი თამრიკო კი, მშვენიერი, მოსიყვარულე თამრიკო ასეთს ტანჯვაში ჩააგდო!

— მაგისთვის თვალებს როგორ იყენებ, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი!—მიუალერსა ახლა პეტრემ.

ქმარს ცოლმაც ალერსით გასცა პასუხი, მერე ისევ ქმარმა მიუალერსა...

თამრიკომ პეტრეს აკოცა, პეტრემ—თამრიკოს და...

ღილები საუკუნო დავიწყებას მიეცა.

II

პეტრე დაფიქრებული მოდის სახლისკენ. სახლის ქირა 25 მანეთი, მოსამსახურეს ერთი თუმანი. მეწვრიმანეს ორი თუმანი. მოსარეცხეს ხუთი მანეთი. მკერავს ორი თუმანი ძველი ვალის ანგარიშში სამი თუმანი. სულ კი ამ თვეში ექვსი თუმანი უნდა მიიღოს.

თამრიკო შინ არ დაუხვდა. მოსამსახურეს სუფრა გაეშალა და ელოდა. დაჯდა მაგიდასთან და თავი ჩაჰქინდრა. კარებში ხმაურობა გაისმა. პეტრეს გულმა ფანცქალი დაუწყო. თამრიკო შემოვიდა. დაღონებული ქმარი რომ დაინახა, მაშინვე იმისკენ გაექანა.

— რას დაღონებულხარ, ჩემო კარგო! თუ გინდა, ეხლავე გაგამხიარულებ. ისეთი კარგი საჩუქარი დაგიმზადე, ისეთი კარგი, რომ ვერც კი წარმოიდგენ!

„ღილები“!—გაიფიქრა პეტრემ და ნაღვლიანად ცოლს გადაჰხედა.

თამრიკომ საკვოიაჟიდან ამოიღო რაღაც ქაღალდებში გახვეული და დიდის ამბით გაშალა: ოქროს მედალიანი იყო. პეტრემ გაოცებით თვალები ჭყიტა.

— მედალიანი? ჩემი საჩუქარი? რად მინდა მედალიანი? მე ხომ არ ვატარებ?

— შე სულელო, შენა!—წყენით უპასუხა ცოლმა,—ჯერ გაშინჯე და მერე სთქვი! აბა, უყურე, მედალიანში შენი სურათია. ხედავ, როგორ მიყვარხარ!

— მადლობელი ვარ!—ამოხვრით უპასუხა პეტრემ და მათლაფის კუთხეში ბუზს დანით ფხეკა დაუწყო.

თამრიკოს ეწყინა. ნაშნად წყენისა საწოლ ოთახში შევიდა, თაეის კრაოტზე დაწვა და თავზე შალი მოიხვია.

— რას აკეთებს?—ჰკითხა პეტრემ მოსამსახურეს, როდესაც იგი ჩაფიქრებული საწოლ ოთახიდან გამოვიდა.

— ტირის.

— იტიროს, გულს მოეშვება!—ფილოსოფიურის სულ-გრძელებით უპასუხა პეტრემ და სადილს შეუდგა.

სამი ღღე გამწყრალნი იყვნენ. მეოთხე დღეს თამრიკოს საიდანღაც ერთი ახალგაზდა ყმაწვილი მოჰყვა. ჩემი ბიძაშვილიაო, უთხრა თამრიკომ. პეტრემ მუშტრის თვალით ახედ-ჩახედა თამრიკოს ბიძაშვილს და შუბლის ნაოჭი დაეჭიმა. არაფერი უპასუხნია. ბიძაშვილო ძალიან კარგი ყმაწვილი აღმოჩნდა: წყნარი, ჩუმი, სათნო. უხეირო სიტყვას ისე ვერ გაიგონებდა, რომ არ გაწითლებულიყო. პატარძალს მოგაგონებდათ. ყოველ დღე დილით ადრიან მოდიოდა, უცდიდა პეტრეს და მერე პეტრესთან ერთად სამსახურში მიდიოდა. კარებამდის მიაცილებდა პეტრეს და, რაკი დარწმუნდებოდა, დაწესებულების შენობის დიდს ლაბირინტში დაიკარგაო, უკან გამობრუნდებოდა და შურდულივით გაექანებოდა ხოლმე. ყოველ ამისთანა შემთხვევის შემდეგ ცოლი სახლში მხიარულად ჰხვდებოდა პეტრესა.

გული ჩაეთხრო პეტრეს. სამსახურშიაც უფროსები საყვედურს უცხადებდნენ, მუყაითობას მოუკელ, გულის ყური სადღაც სხვაგანა გაქვსო. პეტრე ამ საყვედურებს უფროსების უმადურობითა ჰხსნიდა.

ერთხელ პეტრე ჩვეულებისამებრ ჩაფიქრდა. უფროსმა ცხვირწინ ქაღალდი დაუდო და უბრძანა, მალე დაამზადეო; მაგრამ პეტრეს არც ქაღალდი დაუნახავს და არც უფროსი. ნახევარი საათი მაინც იჯდა ასე ჩაფიქრებული. მერე დინჯად წამოდგა.

— სად მიბრძანდებით, ბატონო. ჯერ პირველიც არ არის!—მოკრძალებით უთხრა მეკარემ, როდესაც პეტრემ ქუდი მოსთხოვა.

პეტრემ არაფერი უთხრა მეკარეს, ქუდი ჩამოიფხატა თავზე და სახლისკენ გასწია. ჩუმად ავიდა კიბეზე და პირდაპირ საწოლ ოთახში შევიდა. თამრიკო კლეოპატრასავით ლოგინზე გადაწოლილიყო, ფეხით კი ბიძაშვილი უჯდა. თამრიკოს ხელი დაეჭირა და ნაზად ეალერსებოდა.

პეტრე რომ დაინახა, ბიძაშვილი საჩქაროდ წამოხტა და უმწეოდ დაიწყო ცქერა აქეთ-იქით.

თამრიკოს ერთბაშად სიწითლემ გადაჰკრა სახეზე, მაგრამ მალე თავი შეიმაგრა, გაიღიმა, წამოხტა და პეტრეს მიეგება.

— ეგრე მალე რად დაბრუნდი, შენ გენაცვალე! ავად ხომ არ ხარ, შენი ჭირიმე!—მოსიყვარულე კილოთი შეეკითხა თამრიკო და ნაზად შუბლზე ხელი დაადო.

— ჰო, ავიდა ვარ, არა, ისე არა, მაგრამ მაინც!—წაილულლულა პეტრემ და ნაღვლიანად ცოლს გადაჰხედა.

ბიძაშვილი კუთხეში ატუზულიყო და ცახცახებდა. დრო გამოშვებით კი ახლად შეღერებულ ულვაშებს იწიწკნიდა.

— აი, ეხლა პირისპირ მოელაპარაკეთ ერთმანეთს!—კეკლუცად სთქვა თამრიკომ, ხელი წაავლო ბიძაშვილს და პეტრესთან მიათრია:—თითონ ამას უთხარი, რაც გინდოდა.

პეტრემ გადაჰხედა ბიძაშვილს, ჩააშტერდა თვალებში და მერე თამრიკოს შეხედა.

— უთხარი რაღა!—ღიმილით ეუბნებოდა თამრიკო.

— მითხარი რაღა!—ყრუდ გაიმეორა პეტრემ ცოლის სიტყვები.

მაგრამ ახალგაზდა რაინდი დამუნჯებული იდგა და ცახცახებდა.

— შენ წარმოიდგინე,—დაიწყო თამრიკომ,—რა კი დარწმუნდა, რომ რაინდ დონ-ჟუანს ლაპარაკის უნარი წაერთვა,—შენი ქმარი ეჭვიანობს და როგორმე დაუმტკიცე, რომ მე მხოლოდ ნათესავური სიყვარული მაკავშირებს თქვენთანაო; მე ძალიან პატივსვსცემ პეტრეს და არ მინდა ჩემზე ცუდი აზრისა იყოსო. დაიმშვიდე, პეტრე, უთხარ, რომ შენი თამრიკოს სიყვარული ყოველივე ეჭვს გარეშეა,—დაამთავრა თამრიკომ და პეტრეს ყელს მოეჭდო.

პეტრემ თავი გაინთავისუფლა თამრიკოს ხელებიდან და მერე ბიძაშვილს მიჰმართა.

— მართალია! ძალიან ვუყვარვარ! მე საუბედუროდ იმდენი დრო არა მაქვს, რომ მის უმაგალითო სიყვარულს შესაფერისი სამაგიერო მიუძღვნა. შენ ახალგაზდა ხარ და უფრო ადვილად მოახერხებ ამის გართობას. მოდი ხოლმე, მოდი, როდესაც მე სამსახურში ვარ. ეჭვი? ეჭვი რა ჩემი საქმეა? მე ხომ დიდი ოჯახის შვილი არა ვარ, ეჭვიანობით გული რომ გავიგო? ძალიან ვუყვარვარ! ყელამდის ავივსე ამისი სიყვარულით; მიტის ატანა აღარ შემიძლიან, გესმის თუ არა, მეტის ატანა აღარ შემიძლიან მეთქი.

პეტრეს თვალები მისთვის უცნობი რამ ცეცხლით აენთო. მთლად ცახცახებდა და სიბრაზით მუშტებს ჰკუმშავდა.

ბიძაშვილი უფრო უმწეოდ მოიბუზა კუთხეში. თამრიკოს კი შიშის სიფითრემ გადაჰკრა სახეზე და ნელ-ნელა კარებისკენ გაიწია.

— იარე ხოლმე ჩვენსა,—საშინელის ხმით იძახდა პეტრე და თვალებს აბრიალებდა,—გაართე, გამხიარულე ჩემი მოსიყვარულე ცოლი. მე სუსტი ადამიანი ვარ და მის დიდსა და დაუშრეტელ სიყვარულს ველარ გავუძელი. იმის შნოც კი არა მაქვს, რომ ეს სიყვარული სათანადოდ დავაფასო. იარე ჩვენსა და ვაი შენი ბრალი, თუ არ გაანელე ნახევარი მაინც ამის სიყვარულისა ჩემდამი!—წამოიძახა პეტრემ და შეშლილივით გარედ გავარდა...

—

პეტრეს სახლში დილიდანვე ფუსფუსი იყო. პეტრე გურიანი გარდაიცვალა. მისი თანამოსამსახურენი ნელ-ნელა გროვდებოდნენ და კუთხეში ერთს ადგილას დგებოდნენ. ყველა მოკრძალებითა ლაპარაკობდა, როგორც მიღებულია საზოგადოდ ლაპარაკი მაშინ, როდესაც ოთახში მიცვალებული ასვენია.

თამრიკოს დეიდა ცრუ მწუხარებით იხოკდა პირისახეს და თან ქვეშ-ქვეშად მომსვლელ სტუმრებს ათვალიერებდა. პეტრეს თანამოსამსახურენი იგონებდნენ გაჩსვენებულის ცხოვრებას და თავის ქნევით იცქირებოდნენ კუბოსკენ, რომელსაც დიაკვანი დასდგომოდა და დავითნს კითხულობდა.

სწორედ ამ დროს მეორე ოთახში თამრიკო, გაბრაზებული და ტირილით თვალებ დაწითლებული მოსამსახურეს ჩუმის ხმით ეჩხუბებოდა, თან მუჯლუგუნებსა სცემდა.

— კარგად გამიკეთე, შე სასიკვდილე, შენა! აბა, ვუალი როგორ არის! უფროსი უნდა მოვიდეს დამარხვაზე; ესე რომ ვერ დავხვდები! კარსეტი კარგად გამიჭირე...

გარდელი.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, მუხრანის ქუჩა. სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი **დ. ჯორჯაძე.**